ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 345

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის" (ს/ნ. 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას: „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის" (ს/ნ. 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1224.1403 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ასოციაცია აგორასთვის" (ს/ნ. 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

2. შეთანხმებულად ჩაითვალოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით წარმოდგენილი წინადადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 11 ივლისის ბ61.01231924 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გასვლის დღიდან, ამ განკარგულების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორას" (ს/ნ. 202248175) მიერ ფართის ფაქტობრივად

სარგებლობისთვის შესაბამისი სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე